# ღმერთი, რომელსაც სძულს უსამართლობა

**მითითებები:** ეს სავარჯიშო მშვიდ გარემოში გააკეთე. ბიბლიური მუხლების კითხვისას წარმოიდგინე, რომ მოვლენები შენ თვალწინ ვითარდება. რას ხედავ? რა გესმის? რას იგრძნობდი მოქმედ პირთა ადგილზე?

**მოქმედი პირები:** ახაბი, იზებელი, ნაბოთი და ელია.

**მოკლე მიმოხილვა:** იზებელის წაქეზებით მეფე ახაბი კლავს ნაბოთს, რათა ხელში ჩაიგდოს მისი ვენახი.

## ❶ *წარმოიდგინე, რა გარემოში ვითარდება მოვლენები. წაიკითხე 1 მეფეების 21:1—26.*

აღწერე, როგორ წარმოგიდგენია ეს ოთხი პერსონაჟი?

ახაბი____________________

იზებელი____________________

ნაბოთი____________________

ელია____________________

შენი აზრით, მე-5—7 მუხლების თანახმად, რა ტონით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს იზებელი და ახაბი?____________________

____________________

როგორ აღწერდი იმ შემზარავ სურათს, რომლის შესახებაც მე-13 მუხლში ვკითხულობთ?__________

____________________

შენი აზრით, რა ემოციით გამოთქვამდნენ ერთმანეთის წინაშე თავიანთ სათქმელს ელია და ახაბი, რასაც მე-20—26 მუხლებში ვკითხულობთ?____________________

____________________

## ❷ *გამოიკვლიე*

რა თვისებას(ებს) ავლენს იზებელი მე-7 და 25-ე მუხლების თანახმად?____________________

რა თვისებას(ებს) ავლენს ახაბი მე-4 მუხლის მიხედვით?____________________

კიდევ ვინ უნდა მოეკლა ახაბს, ნაბოთის ვენახს რომ დაჰპატრონებოდა? (წაიკითხეთ 2 მეფეების 9:24—26).____________________

როგორი ადამიანი იყო ახაბი იეჰოვას თვალში? (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 25-ე და 26-ე მუხლები.* იხილე აგრეთვე 1 მეფეების 16:30—33).____________________

____________________

## 3 მოიქეცი ნასწავლის შესაბამისად. ჩამოწერე, რაც ისწავლე . . .

იმაზე, რომ იეჰოვას მხედველობიდან არ რჩება უსამართლობა.

იმაზე, რომ იეჰოვა ესარჩლება მათ, ვისაც უსამართლოდ ექცევიან.

იმაზე, თუ როგორ აჩვენებს იეჰოვა, რომ სამართლიანია (წაიკითხე კანონის 32:4).

## 4 საფიქრებელი კითხვები

როგორ შეიძლება დღეს ზოგი იზებელივით მოიქცეს? (წაიკითხე გამოცხადების 2:18—21).

რა დროს შეგიძლია ელიას მსგავსი გაბედულება გამოავლინო?

რაში შეგიძლია იყო დარწმუნებული, როცა ხედავ უსამართლობას ან თავად ხდები მისი მსხვერპლი?

## 5 რა იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბიბლიური მონაკვეთიდან, და რატომ?

**რჩევა:** შეეცადე, ეს ამბავი ახალი ამბებივით გააშუქო. მოამზადე რეპორტაჟი და მასში ჩართე წარმოსახვითი ინტერვიუები მთავარ მოქმედ პირებთან და თვითმხილველებთან.



www.jw.org © 2012 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania